საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზესხო

ზესხო, მდინარე ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 19 კმ. სათავე აქვს სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, შარივცეკის უღელტეხილის დას-ით 2780 მ სიმაღლეზე. მარჯვნიდან ერთვის მდ. ყორულდაში. საზრდოობს მყინვარის, თოვლის, მიწისქვეშა და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულ-ზაფხულში, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 7,65$მ^3$/წმ.

ი. აფხაზავა